სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №040321-6-5.3-2

ქ. თბილისი 4 მარტი 2021 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ „აწარმოე საქართველოში“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის მიხეილ ხიდურელის სახით (მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18, ტელ: +995 32 2960010, მობ: 599882242 ს/კ: 204582763, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900) და
მეორე მხრივ, **შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“** შემდგომში ,,მიმწოდებელი“, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი კიკნაძის სახით, (მის.: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი N71, რეგუსის ბიზნეს ცენტრი, მთავარი შესასვლელი, მე-4 სართული, ოფისი N24, ტელ: (+995 322) 19 33 33 (126), საბანკო რეკვიზიტები: „ბანკი თიბისი“; ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა Ge04TB3593136020100006, საიდენტიფიკაციო კოდი: 204554259)
"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სსიპ ,,აწარმოე საქართველოში“ (ორგანიზაციის კოდი 24 07 02) 2021 წლის დაფინანსების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს მიერ უცხოური ინვესტორი კომპანიისთვის საქართველოში პოტენციური საინვესტიციო პროექტის შესაბამისი კადრების მოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV კოდი 79620000).

2.2. შესყიდვის ობიექტია შემსყიდველის მიერ ვაკანსიის გამოცხადების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა მიმწოდებლის მიერ ვებ-გვერდზე www.Hr.ge განცხადების გამოქვეყნებისა და ელ. დაგზავნის საშუალებით.საქართველოში პოტენციური საინვესტიციო პროექტის შესაბამისი კადრების მოძიებასთან დაკავშირებული ვაკანსიების განთავსება ანონიმურობის დაცვით 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში პორტალზე ლოგოსა და კომპანიის დასახელების გარეშე, მათ შორის მაღალი ხილვადობისათვის VIP სექციაში, ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის Facebook გვერდზე ერთჯერადად გაზიარება (FB Share) და საწყისი 14 დღის განმავლობაში Facebook-ზე პრომოცია, (თბილისის მოსახლეობა, სასურველია 18-25 წლის ასაკობრივი კატეგორია.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 900.00 (ცხრაასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში, მხარეთა უფლებამოსილ პირებს შორის, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა, შესაბამისად ხელშეკრულების ჯამური საბოლოო ღირებულების განსაზღვრა აღარ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმებას.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ტარიფები მოცემულია დანართ #1-ში.

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

4. მომსახურების გაწევის ვადები, პირობები და ადგილი

4.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, განცხადების განთავსება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.
4.2. განცხადება, რომელიც განთავსდება მიმწოდებლის ვებ გვერდზე უნდა იყოს აქტიური იმ თარიღამდე, რომელიც მითითებულია მასში განაცხადის შემოტანის საბოლოო ვადად. იმ შემთხვევაში თუ ვადა მითითებული არ არის, მაშინ განცხადება ავტომატურად აქტიური უნდა იყოს ერთი თვის ვადით.
4.3. შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნა მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ მიმწოდებელს ეცნობება შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: m.dalakishvili@hr.com.ge შემსყიდველის წარმომადგენლის - ინვესტორებთან ურთიერთობის უფროსი მენეჯერის ნათია ფარეხელაშვილის მიერ, ელ.ფოსტის nparekhelashvili@enterprise.gov.ge მეშვეობით. შემსყიდველი უფლებას იტოვებს საჭიროების შემთხვევაში მცირე კორექტირება შეიტანოს უკვე გამოქვეყნებული ვაკანსიის ტექსტში.
4.4. მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის ვებ გვერდი www.Hr.ge.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
5.1.1 უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობებისა და დადგენილი სტანდარტების/წესების (არსებობის შეთხვევაში) შესაბამისად;
5.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, საკუთარი ხარჯით, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასეთი ნაკლის აღმოჩენიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში;
5.1.3. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
5.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის ხელშეწყობა;
5.2.2. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. ინსპექტირების პირობები

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს ინვესტორებთან ურთიერთობის უფროსი მენეჯერი ნათია ფარეხელაშვილი.
6.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
ა. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ. გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
გ. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება.
6.3. ”მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ”შემსყიდველი” ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ”შემსყიდველი” ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ”შემსყიდველი”.
6.4. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება ეკისრება ”მიმწოდებელს” საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს ”მიმწოდებელს” წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
7.3. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება პერიოდულად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდგომ, ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული ტარიფების მიხედვით და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.

7.4. „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“-ს ინვესტორებთან ურთიერთობის უფროს მენეჯერს ნათია ფარეხელაშვილს ან/და მისი მოვალეობის შემსრულებელს.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან /და ერთიანად, გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დოკუმენტის სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 9.1. და 9.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის გამო შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა 10%-ის ოდენობით.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ”შემსყიდველისთვის”, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა (ფორს-მაჟორი)

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად ,,ელექტრონული დოკუმენტისა და სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

14.2. შემსყიდველი მხარის წარმომადგენელი, მარიანა მორგოშია, ქვემოთ ხელისმოწერით ადასტურებს, რომ შპს ”დასაქმების სააგენტო ეიჩარი“-ს მიმართ სრულად აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

15. მხარეები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „აწარმოე საქართველოში“	შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“

LEPL Enterprise Georgia

Digitally signed by LEPL Enterprise Georgia
DN: cn=LEPL Enterprise Georgia, 2.5.4.97=NTRGE-204582763, o=••• ••• ••••• •••••••••••••, c=GE
Date: 2021.03.04 16:14:01 +04'00'

დანართი N1

გასაწევი მომსახურების ტარიფები

პროდუქტი / მოდული	მთავარ გვერდზე ყოფნის პერიოდი	ფასი ლოგოს გარეშე	ფასი ლოგოსთან ერთად
ვიპ CV	15 დღე	190 ₾	210 ₾
VIP	15 დღე	140 ₾	160 ₾
ექსკლუზიური	15 დღე	90 ₾	110 ₾
პრიო სტანდარტი	10 დღე	40 ₾	60 ₾
პრიო სტარტი	5 დღე	20 ₾	40 ₾

ანონიმურობის საფასურის ღირებულება დამატებით 10 ლარი;

ავტომატური განახლების პროდუქტი, რომელიც გულისხმობს დედლაინამდე თვის ჭრილში განცხადების ხელახლა განახლებას საიტზე და იმდენი დროით გაჩერებას მთავარ გვერდზე რამდენი ხანიცაა განსაზღვრული განთავსებულ მოდულში, შემსყიდველი კომპანიისთვის აღნიშნულ სერვისზე განხორციელდება 50%-იანი ფასდაკლება;

სპეციალური შეთავაზება - VIP მოდული (VIP CV მოდულის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო მოდული) ანინიმურობის და განახლების პროდუქტთან ერთად, რაც გულისხმობს, რომ 15 დღის შემდეგ განცხადება განახლდება ისევ საიტზე და დედლაინის ბოლომდე იქნება მთავარ გვერდზე - ღირებულება 220.00 ლარი;

დამატებით სარგებლობა სოციალური ქსელებით - FB, LinkedIn და Instagram გვერდებზე განცხადების გაზიარება - თოთოეული გაზიარების ღირებულება შეადგენს 20.00 ლარს;

განცხადების ტექსტში შესაძლებელია მიეთითოს ლინკი და ლინკზე გადასვლით გამოეხმაუროს ვაკანტურ პოზიციას სამსახურის მაძიებელი.
Facebook-ზე დაბუსტვის საკითხი - მიზანმიმართულ სეგმენტზე დაბუსტვა (ადგილმდებარეობა, ასაკი, თბილისი, 18-45 წლის ასაკობრივი კატეგორია.